საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა

№ 004143

„15" სექტემბერი 2025 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ქ. თბილისი ვ. ნიკოლაძის I ჩხ. №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ლაიმსთოუნ ჯორჯია" (ს/ს 400276143)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,

იურ. მის.: [redacted]
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის დასახელება, იურიდიული მისამართი)

[redacted] ფაქტიური [redacted] მისამართი

2022 წლის 4 აპრილის №2-260 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №004143 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ №004143 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 8 გვერდი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის,

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

57¹ მუხლის, 84-ე მუხლის 3¹ ნაწილის და ნარჩენების მართვის კოდექსის 46-ე მუხლის

პირველი ნაწილის შესაბამისად

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

[illegible] სამმართველოს ინსპექტორი ნინო [illegible]

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. [illegible]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible]

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2025 წლის 15 სექტემბრის №004143 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 1 ნოემბრის №DES92400000508 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელდა, შპს „ლაიმსთოუნ ჯორჯია"-ზე (ს/კ 400276143) ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე, „ღორეშას" გამარმარილოებული (მოსაპირკეთებელი) კირქვის მოპოვების მიზნით გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №10001411 ლიცენზიით (ამჟამად 2025 წლის 26 აგვისტოს № 1938 ლიცენზია-ბრძანება, საერთო ფართობი 77 680მ²) განსაზღვრულ 178125მ² ფართობზე, სასარგებლო წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვებაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 4 აპრილის №2–260 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 4 აპრილის №2–260 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-3 პირობის თანახმად,** შპს „ლაიმსთოუნ ჯორჯია" საქმიანობას არ ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, საბადოს დამუშავების გეგმის, მათ შორის, რეკულტივაციის პროექტის შესაბამისად, ასევე ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების, შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. კერძოდ:

1.1 შპს „ლაიმსთოუნ ჯორჯია"-ს მიერ არ ხდება მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენისა და მოპოვების შედეგად წარმოქმნილი ფუჭი ქანების დასაწყობება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, საბადოს დამუშავების და რეკულტივაციის პროექტების შესაბამისად. კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტების შესაბამისად, გადახსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობება და მოხსნილი ფუჭი ქანის ცალ-ცალკე განთავსება გათვალისწინებულია **II უბნის იმ ნაწილში,** სადაც საწყის ეტაპზე საექსპლუატაციო სამუშაოები არ იგეგმება და ასევე **ნაყოფიერი ფენა განთავსდება I უბნის იმ ნაწილში,** რომელიც არ ექვემდებარება დამუშავებას. ნიადაგის **ფენა არ მოიხსნება** I (1455კვ.მ. **და** II (6200 **კვ.მ.)** უბნის **იმ ნაწილში,** სადაც დაგეგმილია ნიადაგის **ნაყოფიერი ფენის სასაწყობო მეურნეობის მოწყობა. მოპოვებითი სამუშაოების დაწყებამდე** სპეცტექნიკის საშუალებით განხორციელდება **ფუჭი ქანის მოხსნისა და დასაწყობების სამუშაოები.** მოხსნილი ფუჭი ქანი გადაიტანება სპეციალურად გამოყოფილი **ფუჭი ქანის დროებით სანაყაროზე.** ფუჭი ქანის **დროებითი სანაყაროს** მოწყობა დაგეგმილია სალიცენზიო კონტურში, **II უბნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში 23000 მ² ფართობზე**. ფუჭი ქანი განთავსდება სამ საფეხურად, თითოეული საფეხურის სიმაღლე შეადგენს დაახლოებით 10,0 მ-ს, ფერდის დახრის კუთხე იქნება 40º, ხოლო დამცავი ბეგის სიგანე 8,0 მ; **ინსპექტირებით**

დადგინდა, რომ მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, ასევე წარმოქმნილი ფუჭი ქანები დასაწყობებულია I, II და III უბანზე გადახსნილ ტერიტორიებზე და არ არის სპეციალურად მოწყობილი სასაწყობე მეურნეობები;

1.2 საქმიანობა არ ხორციელდება გზშ ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის შესაბამისად, ობიექტზე არ არის გამოყენებული წყლის ჩაკეტილი ბრუნვითი სისტემა, არ არის მოწყობილი სალექარები, არ ხდება წარმოქმნილი წყლების გაწმენდა, შეკრება და გამოყენება. ინსპექტირებით დადგინდა, რომ ტექნოლოგიურ პროცესში წარმოქმნილი წყალი იღვრება იქვე ადგილის რელიეფში;

1.3 არ ხდება სანიაღვრე და ტექნიკური წყლების მართვა გზშ ანგარიშის შესაბამისად. არ არის მოწყობილი სუფთა ატმოსფერული ნალექების დამჭერი არხი, რომელიც მიმართული იქნება ყველა დამაბინძურებლის გვერდის ავლით, რელიეფის დაქანების მიმართულებით. ჩამდინარე წყლების მართვის მიზნით პირველ, მეორე და მესამე უბანზე, არ არის მოწყობილი გზშ ანგარიშით გათვალისწინებული ორსაფეხურიანი სამსაფეხურიანი და ერთსაფეხურიანი სალექარი, რომლებიც ჩართული იქნებოდა ჩაკეტილ სისტემაში;

1.4 არ არის მოწყობილი დიზელგენერატორის საწვავით (დიზელი) უზრუნველსაყოფად განკუთვნილი 5 ტონა მოცულობის უჟანგავი მეტალის მობილური რეზერვუარი, არ არის მოწყობილი საწვავის დაღვრის საწინააღმდეგო დამცავი ზღუდარი, ტერიტორიაზე განთავსებული არ არის დაღვრაზე რეაგირებისათვის/დაბინძურების კონტროლისათვის აუცილებელი მასალები (ქვიშის ტომრები ან/და ნავთობის დაღვრის საწინააღმდეგო ნაკრები);

1.5 გზშ ანგარიშის შესაბამისად არ არის მოწყობილი მუშა ტექ. პერსონალისათვის საშხაპე (ოთახი) ჯიხური. ასევე არ არის მოწყობილი მოედანი სამშენებლო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების პარკინგისათვის, ასევე არ ხორციელდება სატვირთო ავტომანქანების დასვრილი საბურავების გარეცხვა;

1.6 გზშ ანგარიშის მონიტორინგის გეგმის თანახმად საქმიანობის პროცესში (წელიწადში ორჯერ) მონიტორინგის გეგმით დადგენილ საკონტროლო წერტილებში, უახლოეს მოსახლესთან (ღორეშა) და საბადოს ტერიტორიაზე, არ არის ჩატარებული ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკებისა და ხმაურის დონის განსაზღვრის მიზნით ინსტრუმენტალური გაზომვები.

2. მინისტრის 2022 წლის 4 აპრილის №2–260 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-4 პუნქტის** შესრულების მიზნით, შპს „ლაიმსთოუნ ჯორჯია“-ს საქმიანობის დაწყებამდე, საპროექტო ტერიტორიაზე ცხოველთა საბინადრო ადგილების არსებობასა და მათზე შესაძლო ზემოქმედების დადგენის მიზნით, არ აქვს განახლებული და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში შესათანხმებლად წარდგენილი, მონიტორინგის გეგმა,

რომელშიც ასახული უნდა იყოს კომპანიის მიერ ჩატარებული საველე კვლევის შედეგები, შესაბამის რეკომენდაციებსა და ფოტომასალასთან ერთად;

3. მინისტრის 2022 წლის 4 აპრილის №2–260 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-6 პუნქტის** შესრულების მიზნით, შპს „ლაიმსთოუნ ჯორჯია"-ს საქმიანობის დაწყებამდე არ აქვს შემუშავებული და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმა;

4. მინისტრის 2022 წლის 4 აპრილის №2–260 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-7 პუნქტის** შესრულების მიზნით, კომპანიას არ აქვს შესრულებული „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები;

5. მინისტრის 2022 წლის 4 აპრილის №2–260 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-8 პუნქტის** შესაბამისად, კომპანია არ უზრუნველყოფს, „ნიადაგის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას;

6. მინისტრის 2022 წლის 4 აპრილის №2–260 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-9 პუნქტის** შესრულების მიზნით, კომპანიამ საქმიანობის დაწყებამდე შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში შესათანხმებლად არ წარადგინა ფუჭი ქანების სანაყაროს დეტალური პროექტი (Shp ფაილებთან ერთად);

7. მინისტრის 2022 წლის 4 აპრილის №2–260 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-12 პუნქტის** შესრულების მიზნით, კომპანიამ მოპოვებითი სამუშაოების დაწყების შესახებ, არ აცნობა შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

8. ინსპექტირებით ასევე გამოვლინდა გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შეუსრულებლობის ფაქტები. კერძოდ:

8.1. დადგინდა რომ ტექნოლოგიურ მოედანზე დაყრილია ტექნოლოგიური პროცესში წარმოქმნილი 1 $м^3$-დე შლამები და 1 კგ-მდე საყოფაცხოვრებო ნარჩენები;

8.2. ობიექტის, ტექნოლოგიური პროცესისათვის წყალმომარაგების მიზნით, კომპანია წყალაღებას ახორციელებდა მთის ფერდობიდან გამონადენი წყაროდან (GPS კოორდინატი: X 0358394 Y 4661744), სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გარეშე.

შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 31 დეკემბერს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57^1 მუხლის, 79^8 მუხლის პირველი ნაწილის, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის და ამავე კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შპს „ლაიმსთოუნ ჯორჯია"-ს მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №088813 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ხარაგაულის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ 2025 წლის 27 იანვრის №4/2-2025 დადგენილებით, შეწყვიტა ადმინისტრაციული საქმისწარმოება ნარჩენების მართვის კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე და კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57^1 მუხლით, 79^8 მუხლის პირველი ნაწილით და ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე გამოუცხადა სიტყვიერი შენიშვნა. ამასთან, დაეკისრა გარემოსათვის მიყენებული ზიანის 206,75 ლარის ანაზღაურების ვალდებულება. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ლაიმსთოუნ ჯორჯია"-ს მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2025 წლის 15 სექტემბრის №004143 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2025 წლის 15 სექტემბრის №004143 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „ლაიმსთოუნ ჯორჯია“-ზე (ს/კ 400276143) ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე, „ღორეშას“ გამარმარილოებული (მოსაპირკეთებელი) კირქვის მოპოვების მიზნით გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №10001411 ლიცენზიით (ამჟამად 2025 წლის 26 აგვისტოს № 1938 ლიცენზია-ბრძანება, საერთო ფართობი 77 680მ²) განსაზღვრულ 178125მ² ფართობზე, სასარგებლო წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვებაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 4 აპრილის №2–260 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „ლაიმსთოუნ ჯორჯია“ ვალდებულია**:

1. საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, საბადოს დამუშავების გეგმის, მათ შორის, რეკულტივაციის პროექტის შესაბამისად. ასევე ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების, შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად (მინისტრის 2022 წლის 4 აპრილის №2–260 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-3 პირობა), მათ** შორის:

1.1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს** მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენისა და მოპოვების შედეგად წარმოქმნილი ფუჭი ქანების მართვა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, საბადოს დამუშავებისა და რეკულტივაციის პროექტის შესაბამისად, ამასთან ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს სპეციალური სასაწყობე ტერიტორიის მოწყობა, მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის განთავსებისთვის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, საბადოს დამუშავებისა და რეკულტივაციის პროექტების შესაბამისად;

1.2. სანიაღვრე და ტექნიკური წყლების მართვა განახორციელოს გზშ ანგარიშის შესაბამისად, რისთვისაც ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს სუფთა ატმოსფერული ნალექების დამჭერი არხის (რომელიც მიმართული იქნება ყველა დამაბინძურებლის გვერდის ავლით, რელიეფის დაქანების მიმართულებით) და ჩამდინარე წყლების მართვის მიზნით პირველ, მეორე და მესამე უბანზე, ორსაფეხურიანი სამსაფეხურიანი და ერთსაფეხურიანი სალექარ(ებ)ის მოწყობა და მისი ჩართვა ჩაკეტილ სისტემაში. ამასთან

ადმინისტრაციული **მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ აღკვეთოს** ტექნოლოგიურ პროცესში წარმოქმნილი წყლის გარემოში ჩაღვრა;

1.3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს დიზელგენერატორის საწვავით (დიზელი) უზრუნველსაყოფად 5 ტონა მოცულობის უჟანგავი მეტალის მობილური რეზერვუარის და საწვავის დაღვრის საწინააღმდეგო დამცავი ზღუდარის მოწყობა, ასევე დაღვრაზე რეაგირებისათვის/დაბინძურების კონტროლისათვის აუცილებელი მასალების ქვიშის ტომრები ან/და ნავთობის დაღვრის საწინააღმდეგო ნაკრები) განთავსება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

1.4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს მუშა ტექ. პერსონალისათვის საშხაპე (ოთახი) ჯიხურის მოწყობა, ასევე სამშენებლო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების პარკინგისათვის მოედნის მოწყობა გზშ ანგარიშის შესაბამისად, ამასთან ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს** სატვირთო ავტომანქანების დასვრილი საბურავების გარეცხვა გზშ ანგარიშის შესაბამისად;

1.5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან, **არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო შემდგომ წელიწადში ორჯერ,** მონიტორინგის გეგმით დადგენილ საკონტროლო წერტილებში (უახლოეს მოსახლესთან (ღორეშა) და საბადოს ტერიტორიაზე) საქმიანობის განხორციელების პროცესში განახორციელოს ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკებისა და ხმაურის დონის განსაზღვრის მიზნით ინსტრუმენტული გაზომვები;

2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით** საპროექტო ტერიტორიაზე უზრუნველყოს საველე დაკვირვების ჩატარება, ცხოველთა საბინადრო ადგილების არსებობასა და მათზე შესაძლო ზემოქმედების დადგენის მიზნით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განსაზღვოს შემარბილებელი ღონისძიებები. **დაკვირვების დასრულებიდან არაუგვიანეს 2026 წლის 31 იანვრის ჩათვლით,** უზრუნველყოს შედეგების, შესაბამის რეკომენდაციებსა და ფოტომასალასთან ერთად, განახლებულ მონიტორინგის გეგმაში ასახვა და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა. **ხოლო შეთანხმების შემდგომ,** საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად (მინისტრის 2022 წლის 4 აპრილის №2–260 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-4 პუნქტი);**

3. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომში ნარჩენების მართვა მუდმივად განახორციელოს** „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად. ამასთან, ადმინისტრაციული **მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს №211 ბრძანების შესაბამისად და **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა. შეთანხმების შემდგომ ნარჩენების მართვა განახორციელოს** შეთანხმებული გეგმის შესაბამისად (მინისტრის 2022 წლის 4 აპრილის №2–260 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-6 პუნქტი);**

4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან, **მუდმივად უზრუნველყოს** „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება (მინისტრის 2022 წლის 4 აპრილის №2–260 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-7 პუნქტი);**

5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან კომპანიამ მუდმივად უზრუნველყოფს, „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება (მინისტრის 2022 წლის 4 აპრილის №2–260 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-8 პუნქტი);**

6. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ფუჭი ქანების სანაყაროს დეტალური პროექტის (Shp ფაილებთან ერთად) შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა (მინისტრის 2022 წლის 4 აპრილის №2–260 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-9 პუნქტი),** შემდგომში ფუჭი ქანების განთავსება უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე და მათი მართვა განახორციელოს სააგენტოსთან შეთანხმებული პროექტ(ებ)ის და გზშ ანგარიშის შესაბამისად;

7. "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და "საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ" საქართველოს

მთავრობის 2015 წლის 17 თებერვლის №61 დადგენილების მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, **ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან გეზღუდებათ მიწისქვეშა მტკნარი წყლის (GPS კოორდინატი: X – 0358394; Y – 4661744) მოპოვება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გარეშე;**